ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

12 (10050) 7 aprili • 2014 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

პორტირებული ნაციონალების თემა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისთვის კვლავ აქტუალურია

ნუგზარ ასათიანი

პოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ უკვე დაასახელა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების ვინაობა, თუმცა თავს იკავებს პარტიული სიების გასაჯაროებიდან და ქ. ოზურგეთის მერობის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის კანდიდატების დასახელებისაგან. არაოფიციალური ინფორმაციით, ცნობილია, რომ „ქართული ოცნებიდან“ გამგებლობის კანდიდატი **კონსტანტინე შარაშენიძე,** ხოლო მერობის კანდიდატი ბიზნესმენი **ბეჟი სიორიძე** იქნება. თუმცა, ვიცით ასევე, რომ ქალაქის მერად კენჭისყრას „ერთიანი ფორუმის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **ზოთა გოგიბერიძე** აპირებს. როგორც თავად გოგიბერიძემ გვითხრა „ერთიანი ფორუმი“ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წარუდგენს განსახილველად მის კანდიდატურას.

რაც შეეხება კოალიციის კიდევ ერთ ლიდერს, **ტიფო მიქატაძეს,** მან ჯერ რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტი, ხოლო შემდეგ პარტია დატოვა. „პატრიოტთა ალიანსის“ ოზურგეთის ორგანიზაციამ შესთავაზა მიქატაძეს კენჭი ეყარა ქალაქის მერის პოსტზე, მაგრამ უარი მიიღეს.

„ქართულ ოცნებაში“ პორტირებული ნაციონალების თემა აქტუალურია საზოგადოებისათვის, რასაც „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის კახი კალაძის განცხადებაც მოწმობს.

გაზეთ „ალიონს“ არაერთი მოქალაქე დაუკავშირდა მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლიდან: —ნუთუ „ქართული ოცნების“ შტაბში არ იციან, როგორ ავიწროებდა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისას დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული კონკრეტული პიროვნებები...

რედაქციამ ამ თემაზე კითხვები „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით დარჩიას** დაუსვა, რომელმაც ჩვენთან განაცხადა, რომ მათ ამ მოტივით უკვე შეცვალეს რამდენიმე სოფელში კანდიდატი. სოფ. შრომაში „ქართული ოცნებიდან“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დავით ჭაკნელიძე, ხოლო სოფ. სილაურში გოჩა კილაძე იქნება. რაც შეეხება სოფ. მაკვანეთს, აქ დეპუტატობის კანდიდატი ერთ-ერთ საჯარო დაწესებულებაში იწყებს სამსახურს და კენჭს ასევე „ქართული ოცნების“ აქტივისტი ნუგზარ კალანდარიშვილი იყრის. ამ ცვლილებების შესახებ დავით დარჩიამ უკვე აცნობა „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისს, სადაც პოლიტსაბჭო საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. როგორც გავიგეთ, პორტირებული ნაციონალის თემა კიდევ ერთ სოფელშია აქტუალური და „ქართული ოცნება“ მის შემცვლელის ვინაობასაც განიხილავს.

ჯერ-ჯერობით როგორც მაჟორიტარი. ისე პარტიული სიების გასაჯაროებაზე თავს იკავებენ ოპოზიციური პარტიები. „ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს, რომ ისინი პრაიმერის ჩატარების შემდეგ გაასაჯაროებენ კანდიდატთა ვინაობას. არაოფიციალურად ვიცით, მუნიციპალიტეტის გამგებლის პოსტზე მამუკა ბარამიძე აპირებს კენჭისყრას, ხოლო ქალაქის საკრებულოში—ირინა საჯაია და ოთარ რევიშვილი...

ბურჯანაძე-დემოკრატებიდან: ლელა ნაცვალაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში იყრის კენჭს, ხოლო თამარ ნადირიძე —ქალაქის საკრებულოში. „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე თამარ ნადირიძემ „ალიონს“ განუცხადა, რომ მიმდინარეობს სიების საბოლოო დაზუსტება და მას რედაქციას რამდენიმე დღეში მიაწვდიან.

რამდენიმე კანდიდატის ვინაობას ასახელებენ პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლები.

პატრიოტთა ალიანსიდან ქალაქის საკრებულოში მაჟორიტარებად სახელდებიან იურისტები გოჩა ძიმისტარიშვილი, ომარ ბაკურაძე, პედაგოგი რუსუდან მეგრელიშვილი.

გაზეთმა „ალიონმა“ საარჩევნო თემაზე კომენტარი საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **მარინა სუნგულიას** სთხოვა:

—„ქართული ოცნების“ ცენტრალურ შტაბში, კოალიციურ რეჟიმში ხდება პოლიტსაბჭოზე ადგილებიდან წარგზავნილი კანდიდატების განხილვა-შეჯერება -შეთანხმება. ჯერ-ჯერობით ქ. ოზურგეთის მაჟორიტარი და პარტიული სიის, მერობისა და მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატებზე არათუ შეჯერებულან, არამედ ამ თემაზე საუბარიც არ დაწყებულა.

სოფლების მაჟორიტარების სიამ შეიძლება კვლავ ცვლილება განიცადოს. რაც შეეხება მოარულ ხმებს, ზოგიერთი კანდიდატის შესახებ, ჩვენ უბრალოდ გვაჩვევენ. ეს უფრო ჰგავს კანდიდატის სურვილს, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება გამართლდეს, ზოგიერთი —არა.

— ქალბატონო მარინა, ჩვენ ვერ გხედავთ კოალიციურ რეჟიმში მყოფს...

— მე ამჟამად ვმოქმედებ, როგორც პარტიის თავმჯდომარე. ჩვენ მუნიციპალურ არჩევნებში ვითხოვთ იმ ადგილებს, რომლებიც პარტიას ეკუთვნის. ამიტომ ყველა პოზიციაზე გვყავს შესაფერისი კანდიდატურები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატებად რამდენიმე საუკეთესო კანდიდატი ვერ გავიყვანეთ. რაც შეეხება პარტიულ სიებს, მინდა ვთქვა, რომ აქ, ჩვენ და ის პარტიები, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისას შემოგვიერთდნენ, ერთნაირად არ უნდა მოვიაზრებოდეთ.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიებში პორტირებული ნაციონალების თემას, გეტყვით:

გვ-2

გურიანთა-ვაშნარის ნაქალაქარის მიწა მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა

„ემუქრება თუ არა სართხე გურიანთა-ვაშნარის ნაქალაქარს“—ამ თემაზე გაზეთი „ალიონი“ მწვავე მასალებს აქვეყნებდა კულტრული მემკვიდრეობის მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით.

როგორც საჯარო რეესტრში დაფიქსირდა, 27 მარტს გურიანთა-ვაშნარის ნაქალაქარის მიმდებარე 21 000 კვ. მეტრი მიწის მესაკუთრემ ტიტე ფასიეშვილმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს აღნიშნული ფართობის მუნიციპალიტეტზე გადაცემის შესახებ.

საჯარო რეესტრმა მიწის გადაცემის ფაქტი ოფიციალურად 2 აპრილს გააფორმა.

სპმთ პროფკავშირის VI კონფერენცია ოზურგეთში

ნინო ნიკოლაიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის VI კონფერენცია 5 აპრილს გაიმართა. კონფერენციას ესწრებოდა სპმთპ-ს პრეზიდენტი **მაია კობახიძე.** დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო საკითხები: ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, ორგანიზაციის თავმჯდომარის, საბჭოს შემადგენლობისა და სპმთპ-ის VII ყრილობის დელეგატთა არჩევნები. მაია კობახიძემ კარგი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა ქ-ნ როზა გოგუაძეს და არა მხოლოდ მათი ბრძოლის შედეგებზე, არამედ იმ ცვლილებებზე ისაუბრა, რაც პედაგოგთა სასარგებლოდ გადაწყდება მიმდინარე პერიოდში. მანვე ყველა დასმულ კითხვას გასცა პასუხი და ადგილზე დასმული პრობლემების მოგვარებაზე მუშაობასაც შეჰპირდა კონფერენციის მონაწილეთ. საანგარიშო მოხსენება ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძემ წარმოადგინა. ისაუბრა იმ საქმიანობებზე, რაც ორგანიზაციამ რეპრესიების პერიოდის მიუხედავად, და ასევე 2012-13 წლებში განახორციელა: — „პროფკავშირთა განალიზებული ბრძოლების შედეგად მივიღეთ მასწავლებელთათვის უვადო შრომითი ხელშეკრულების გაფორმება, სამედიცინო დაზღვევა, 48 დღიანი ანაზღაურებადი შვებულება, პენსიონერთათვის ხელფასთან ერთად პენსიების დანიშვნა... როცა პროფკავშირის საქმიანობა აქტიურ ფაზაში შევიდა და უამრავი პრობლემა მოწესრიგდა, როცა სპმთპ იბრძოდა მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდების პროცესში არსებული პრობლემების მოწესრიგებისათვის, 2010 წლის ივნისიდან ხელისუფლებამ პროფკავშირის წინააღმდეგ ბრძოლოს ყველა რესურსი გამოიყენა.“

მეორე სკოლის დირექტორმა **მარინა ჯაფარიძემ** გულისხმიერებისა და მასწავლებელთა თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელს და დასვა სკოლებში ექიმის კაბინეტისა და ფსიქოლოგის მომსახურების აუცილებლობის საკითხი და ითხოვა შეამდგ-ომლობა ჯანმრთელობის სამინისტროსთან.

დოდო დონაძე, ლიხაურის საჯარო სკოლა:

— პროფკავშირი აუცილებელია, რადგან მასწავლებელს უნდა ჰყავდეს დამცველი. აუცილებელია, მასწავლებლის მგზავრობა იყოს უფასო, რადგან მათ ყოველდღიურად სკოლაში გადაადგილებისთვის გარკვეული პრობლემები ექმნებათ.

რაც შეეხება არჩევნებს, ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარედ დელეგატებმა **როზა გოგუაძე** კვლავ ერთხმად აირჩიეს. საბჭოს შემადგენლობაში 65 პედაგოგი, ხოლო სპმთპ-ს VII ყრილობის დელეგატად, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართება, 8 დელეგატი აირჩიეს.

კონფერენციაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ბევრ სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პედაგოგთათვის უფასო და შეღავათიანი მგზავრობის საკითხის მოგვარებას, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომელთათვის განათლების მუშაკთა სტატუსის მინიჭებას და ვინიდან ბაღებში გაიზარდა ბავშვთა რაოდენობა, აქ მომუშავე პერსონალთათვის ხელფასის გაზრდას.

ბოლოს ღვაწლმოსილი პროფმუშაკები საპატიო სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოეს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

7 აპრილი, ორშაბათი	8 აპრილი, სამშაბათი	9 აპრილი, ოთხშაბათი	10 აპრილი, ხუთშაბათი	11 აპრილი, პარასკევი	12 აპრილი, შაბათი	13 აპრილი, კვირა
წვიმა +13+23	წვიმა +7+17	ღრუბელი +7+13	მზე +9+19	მზე +12+21	წვიმა +9+13	მზე +14+18

პორტირებული ნაციონალების თემა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისთვის კვლავ აქტუალურია

– ჩვენ ვერც ერთ ადამიანს ვერ გავრიყავთ საზოგადოებიდან და პოლიტიკური პროცესებიდან. მაგრამ, ის ადამიანები, რომლებიც ემსახურებოდნენ ძველ რეჟიმს და თავს იმართლებენ იმით, რომ რა ექნათ, აიძულებდნენ და იძულებული იყვნენ ეს გაეკეთებინათ, მიმაჩნია, რომ საზოგადოება არ უნდა ენდოს მათ. ასეთ ადამიანებს ვერ ჩააბარებ ჩვენი ქვეყნის მომავალს. ისინი არ უნდა იყვნენ მუნიციპალიტეტის გამგებლობის, ქალაქის მერობის, დეპუტატობის კანდიდატები. მათ ქვეყნის ბედი როგორ უნდა ჩაიბარონ. თუკი ხვალ, მათ კვლავ დაემუქრებიან, მზად იქნებიან ცუდ ძალას შეეკრან. ამ ხალხს უნდა მივცეთ „სანიტარული“ პერიოდი და უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი ამ საზოგადოების ღირსეული წევრები არიან.

ადამიანები, რომლებიც იყვნენ ოპოზიციურ პარტიაში, შემდეგ, ვთქვათ გამყრელიძის ან სხვა შტაბის უფროსი, შემდეგ ნაციონალური პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის შტაბის უფროსი, ხვალ რომ გამოჩნდეს მაგალითად „ლუციფერის“ შტაბი, იქ იყოს– ეს მისაღებია? დავიჯერო მათ ქალაქის დარდი და ტკივილი აწუხებთ? ასეთ მოთამაშე „პოლიტიკურ კიკუებს“ ქალაქი არ სტკივა. ამიტომ მათ ქალაქმა უნდა უთხრას უარი. მოსახლეობისათვის უნდა იყოს მნიშვნელოვანი ცუდი კანდიდატი იქნება თუ კარგი დასახელებული.

კიდევ ერთ საგანგაშო ფაქტს გეტყვით. გავრცელებული ხმებით ქალაქის ვიცე-მერად, თუკი პეტრე მამრაძის გამოთქმას დავესესხები, ნაციონალურ-სადისტური რეჟიმის სულისჩამდგმელი გურიაში ლელა თავართქილაძის კანდიდატურა მოიაზრება...

ამ ამომრჩევლებმა 2012 წლის 1 ოქტომბერს, სამოქალაქო გმირობა გამოიჩინეს და მთელ მსოფლიოს დაანახვეს რომ მათ ცუდის და კარგის გარჩევა შეუძლიათ. ამიტომ მათ კარგი გაკვეთილის ჩატარება ახლაც შეუძლიათ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ცდილობენ, რომ „ქართული ოცნების“გამარჯვება სათავისოდ გამოიყენონ.

გაზეთი „ალიონი“დაუკავშირდა **ლელა თავართქილაძეს**. მან დასახელებულ თემაზე კომენტარის გაკეთებისაგან თავი შეიკავა.

ყოფნა-არყოფნა, ანუ ჭეშმარიტება, თუ ანასეულელ მეცნიერთა დისკვალიფიკაცია და თამაშგარე მდგომარეობა?!

21 მარტს ოზურგეთში მცხოვრები მეცნიერები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში. ისინი, რომლებმაც საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ძირითადად ანასეულის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მოამზადეს. იქვე დაიწყეს და განაგრძეს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობები, დაიცვეს მეცნიერთა წინა თაობების მიღწევები და თავიანთი წვლილი შეიტანეს ზემოთაღნიშნული ინსტიტუტის მსოფლიოში ცნობილ ცენტრად ჩამოყალიბებაში.

მეცნიერთა (ი. ჭოლაძე, ლ. ქუთათელაძე, დ. ნარსია, გ. ღლონტი, გ. ანთაძე, ლ. ბერაძე) საუნარი ნაციონალური ხელისუფლების მიერ ქართულ მეცნიერებაში (და არა მარტო მასში) შექმნილი არაჯანსაღი და შემაშფოთებელი მდგომარეობა, ხოლო მიზანი ახალი ხელისუფლებისთვის ერთი, მეტად ყურადსაღები რეკომენდაციამოთხოვნის მიწოდება იყო.

ახლახან აღძრული სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმე, ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, მეცნიერებმა და მათმა ადვოკატმა გოჩა ძიძისტარაშვილმა ერთობლივი განცხადებით მმართეს საქართველოს მთავარ პროკურორს ბატონ გიორგი ბადოშვილს: –„2011 წელს საქართველოს 16 დარგობრივ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან ერთად ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი შეუერთეს აგრარულ უნივერსიტეტს და გამოაცხადეს როგორც აი.პ. შედეგად განადგურდა მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო ცენტრები. შემდგომში კახა ბენდუქიძისა და ლაშა გოცირიძის „ძალისხმევით“, ჩაატარეს ე.წ. „რეფორმა“ და ჩაის ინსტიტუტიდან ძალადობრივად და კანონმდებლობის უხეში დარღვევით გაათავისუფლეს 34 თანამშრომელი. მათ შორის 23 სამეცნიერო ხარისხის მქონე. შემდეგ ისევ განახორციელეს თანამშრომელთა შემცირება.“

ბენდუქიძის, გოცირიძისა და მათი გუნდის მიერ განხორციელებული არაკანონიერი ქმედებების შედეგად, ანასეულელი მეცნიერები (და არა მარტო ისინი) აღმოჩნდნენ ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობაში. მათი ბრძოლა საქართველოს მეცნიერებაში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სამართლიანობის აღდგენის მიზნით, სამ წელზე მეტია გრძელდება. მათი უშუალო აქტიურობითა და მონაწილეობით, მომზადდა სატელევიზიო გადაცემები, ჩაიწერა ინტერვიუები, მოეწყო საპროტესტო აქციები, გამოქვეყნდა საგაზეთო სტატიები, იმ ხელისუფლების პირობებში, რომლის პირველი პირი მეცნიერთა მიმართ უპელაციოდ იყენებდა სხვადასხვა სახის „ეპითეტებს“, ყოველგვარი ბრძოლა, ცხადია წარუმატებლად მთავრდებოდა. თუმცა მეცნიერები თვლიდნენ, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალმა ხელისუფლებამ კახა ბენდუქიძის მიმართ დაიწყო გამოძიება და იგი დაკითხვაზე დაიბარა. მეცნიერებს კვლავ იმედი ჩაესახათ. ისინი თვლიან, რომ ახალი ხელისუფლება დაიწყებს საქმის სწორად გამოძიებას და ჭეშმარიტების დადგენას. ისინი ვარაუდობენ, რომ გამოძიების პროცესში მოხდება ანასეულისა და „აგრომეცში“ შემავალ თხუთმეტ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მომუშავე, თუ გათავისუფლებულ მეცნიერთა წინაშე მდგარი პრობლემების შესწავლა.

დროა, ანასეულელი მეცნიერები სხვებთან ერთად გათავისუფლდნენ დისკვალიფიკაციისაგან, გამოვიდნენ ხელოვნურად შექმნილი თამაშგარე მდგომარეობიდან და დაუბრუნდნენ „სათამაშო მოედანს“ მათ მშობლიურ ინსტიტუტს.

ქართულ მეცნიერებას უნდა მიეცეს სამოქალაქო ბრუნვაში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობა, რადგან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა დიდადაა დამოკიდებული მეცნიერებატევადი დარგების განვითარებაზე. სწორედ ამიტომ იყო, რომ განათლების სისტემისა და მეცნიერების განვითარების აუცილებლობის იდეა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თავის ბოლოდროინდელ სატელევიზიო ინტერვიუში მკაფიოდ ჩამოაყალიბა.

ოვარ ბაკურაძე,

სამართალმცოდნე, ანასეულის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი ასპირანტი, მეცნიერ-მუშაკი

გურიის პენსიონერთა კავშირი დაფუძნდა

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საქართველოს პენსიონერთა კავშირის გურიის ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება გაიმართა.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ამირან გაფრინდაშვილმა კავშირის როლსა და ამოცანებზე ისაუბრა და დარბაზს გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტზე გურამ ცერცვაზის კანდიდატურა გააცნო. მან გურამ ცერცვაძეს გადასცა საქართველოს პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარის ადელკინ კოპლატაძის წიგნები „ჩემი წუთისოფელი“და „წუთისოფელს კაცურად შერჩა ბოლომდე.“

გაიმართა არჩევნები: პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარედ ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი გურამ ცერცვაძე აირჩიეს. მოადგილეებად: ელგუჯა ტუღუში (ოზურგეთი), შოთა ფირცხალაიშვილი (ლანჩხუთი), ჯემალ ნაკაშიძე (ჩოხატაური).

აირჩიეს გამგეობა და საქართველოს პენსიონერთა IV ყრილობის დელეგატები.

კრებაზე სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზეც ისაუბრეს. სიტყვებით გამოვიდნენ: ვახტანგ მამეიშვილი, მზია ებრალიძე, შოთა ფირცხალაიშვილი, რიმა ქარცივაძე, ლამზირა ხუხუნაიშვილი.

კრებას ესწრებოდნენ გუბერნატორის მოადგილე მერაბ ჭანუყვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძე, გამგებელი კონსტანტინე შარაშენიძე.

არის თუ არა უსაფრთხო მომსახურება სამედიცინო და ჰიგიენურ სახლებში

ნინო ნიკოლაიშვილი

სესია, რომელიც ოზურგეთის დემოკრატიული ჩრთულობის ცენტრში 4 აპრილს გაიმართა, სისხლით გადამდები დაავადებებისა და დეზინფექციის ნორმების თემას მიეძღვნა. შეხვედრას ესწრებოდნენ ოზურგეთის სტომატოლოგიური კაბინეტებისა და სალონების წარმომადგენლები, ანუ ამ სფეროს მიმწოდებლები.

შეხვედრის მონაწილეებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადობრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის რეგიონალური სამსახურის თანამშრომელი ნონა კვაჭანტირაძე შესაბამის დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის, სამედიცინო აღჭურვილობის დეზინფექცია/სტერილიზაციის თანამედროვე ტექნოლოგიების, და ამ გზით სისხლით გადამდები დაავადებების პრევენციის შესახებ ესაუბრა.

პროგრამა განხორციელდა ამერიკული ორგანიზაციის ph international usaid-ის ფინანსური მხარდაჭერით. გურიის რეგიონში ახორციელებს გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი.

გამომსვლელმა წარმოადგინა საქართველოში ოფიციალურად აღრიცხული მზარდი სტატისტიკა სისხლით გადამდები ინფექციური დაავადებებისა (შიდსი, ბ, ც ჰეპატიტი), ამას ემატება ამ ინფექციების მატარებელი აღურიცხავი ადამიანები, რაც ნამდვილად შემაშფოთებელია. მით უმეტეს, როცა ქვეყანაში შესაბამისი კანონმდებლობა არ არსებობს.

ასეთი მწვავე მდგომარეობის ფონზე აღინიშნა, რომ სტანდარტული პირობები არც ერთ შესაბამის დაწესებულებებში არ არსებობს, ასევე მოუწესრიგებელია ამ დაწესებულებებიდან ნარჩენების უტილიზაცია (განადგურება) და ისინი ჩვეულებრივ სანაგვე ურნებში იყრება, რაც ასევე შეიძლება გახდეს ინფექციის ახალი კერის გავრცელების მიზეზი.

შეხვედრის რეზიუმე ასეთი გახლდათ: მოქალაქეთა უსაფრთხოება მთლიანად დამოკიდებულია დაწესებულებათა წარმომადგენლების კეთილ ნებაზე; თანამედროვე სტანდარტების დანერგვის შესაბამისად გაიზრდება მომსახურების ფასი. თუმცა მიუხედავად ამ ყველაფრისა, აუცილებელია ამ საკითხის კანონმდებლობით მოგვარება და მოსახლეობის მეტი ინფორმირება მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

„ალიონი“ დაინტერესდა, რას ფიქრობს თავად მოსახლეობა ამ მიმართებით. ჩვენს მიერ გამოკითხულთა ნაწილი ენდობა იმ დაწესებულებების წარმნომადგენლებს, სადაც თავად დადიან. ნაწილი თვლის, რომ ამ ფიქრებით საკუთარ მდგომარეობას არ ირთულებს და არც არასდროს უფიქრია ასეთ საკითხებზე.

ნაწილი კი უკმაყოფილებას გამოთქვამს მომსახურებით და აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით საშიშია ერთჯერადი აღჭურვილობის (ხელთათმანების, სტომატოლოგიური ბურღების და სხვა) რამდენიმეჯერადი გამოყენება, რაც ხშირ შემთხვევაში ხდება. ინსტრუმენტებიც ძველია და არაჰიგიენური მდგომარეობა თავად კაბინეტებში, თუმცა ამბობენ იმასაც, რომ არც დიდი არჩევანი არსებობს ამ კუთხით

სამოქალაქო კლუბი ტოლერანტობა.“

სამოქალაქო განათლების კლუბი „ტოლერანტობა“(მეურვე თინა ასათიანი), ჩართულია სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადების პროგრამაში. მათ ამას წინათ ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში წარმოადგინეს სპექტაკლი „ტომ სოიერის თავგადასავალი.,“ სპექტაკლის შემდეგ კლუბის წევრ ბავშვებთან ერთად ბავშთა უფლებების დაცვის საკითხები განიხილეს. ღონისძიება ჩატარდა ოზურგეთის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან ერთად, რომელიც თანადგომას უწევს სამოქალაქო კლუბის ყველა ინიციატივას.

მადლიერებით გიხსენებ ყველგან

თხინვალის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელს ლამარა გუჯაბიძეს

შენ თვალის გასწვრივ გაყოლილ ხაზებს,
თან ახლავს მუდამ ბავშვებზე ზრუნვა,
ხვალინდელი დღის ბრძენ ქალებს, კაცებს
მომავლის რწმენით და ცოდნით კურნავ.
სუსტ მოსწავლეებს ცალკე იტოვებთ,
გაკვეთილები მათთვის არ კმარა,
დამატებითაც ამეცადინებთ
და თავს იტვირთავ ჩვენო ლამარა.
რამდენ სიძნელეს შეჭიდებიხარ,
კარგი და ცუდიც ბევრი გინახავს,
სკოლაში მუდამ საქმით ბრწყინავხარ
შვილზე დარდს, ტკივილს გულში ინახავ.
იმ გულის ტკივილს, დიდ მწუხარებას
ვერ ჩამოიხსნი დიდხანს მხრებიდან,
შენს მომზადებულ ღონისძიებებს
ჩუმად უძღვები კულისებიდან.
უყურადღებოდ ნორჩებს არ ტოვებთ,
მათთვის ანთიხარ, იწვი, ილევი,
მტევნით დახუნძულ ვით ვაზის რტოებს
გარშემო იკრებ, როგორც შვილები.
დიდხანს ესმინოს ნორჩებს თქვენი ხმა,
ვით დედის თქმული იავნანისა,
როგორც ნიშანი ქართველთ რწმენისა,
ნიშანი ჩვენი არსებობისა.
მადლიერებით გიხსენებ ყველგან,
მადლიერია შენი სოფელიც,
მეც ერთერთი ვარ იმ მრავალთაგან
თქვენი აღზრდილი შვილის მშობელი.

ნოდარ დონაძე.

არსთა გამრიგის მადლობელი ვარ, რომ გენიოსს შემახვედრა

29 მარტს, თქვენი დაბადების დღე იყო, ბატონო აკაკი! გაზაფხულის პირველი თვის მიწურულს 86 წელი შეგისრულდათ.მე მას ტრადიციულად „ჩემებურად“ მოგილოცავთ. ჩვენი ურთიერთობა ხომ თქვენი ამქვეყნიური ცხოვრების შემდეგაც გრძელდება. მე ბედნიერი ვარ,რომ „ნინიჩქას“ მეძახდით. ვამაყობ, რომ „პატარა მეგობარს“ მიწოდებდით.თქვენ ჩემთვის სინდისის, ნამუსის, ერთგულების,ზნეობის გაკვეთილი ბრძანდებით. თავადაც ხომ წერთ: ყოველ ადამიანს სჭირდება ზნეობის მაგალითიო. თქვენ ჩემთვის „თანამდევი სული“ ხართ, რომელიც მთელი ცხოვრება ბრძნულად მასაზრდოებს.მინდა იცოდეთ, რომ მე ამ გაკვეთილის თვინიერ ვეღარ ვიცოცხლებ... მახსოვს, თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში სიკვდილს რომ ვებრძოდი, თქვენ გამომეცხადეთ,თავზე ხელი გადამისვით და მითხარით: “ნინიჩქა ნუ გეშინიაო“. გადავრჩი. ვთვლი, რომ თქვენ გადამარჩინეთ. სამწუხაროდ, მე, უბრალო მოკვდავმა, ვერ შევძელი თქვენთან მიმართებაში იგივე. თუმცა, ძალ-ღონეს არ ვიშურებდი. 42 დღის მანძილზე თქვენს სასთუმალს არ ვშორდებოდი, თქვენს გულისცემას მონიტორზე ვაკვირდებოდი, თუ საეჭვოს შევნიშნავდი განგაშს ვტეხდი და ექიმებს ვუხმობდი დაუყოვნებლივ.ერთხელ შუაღამისას თავი მომაწევინეთ, მადლობის ნიშნად შუბლზე მაკოცეთ და ჩამჩურჩულეთ: „ნინიჩქა ხომ არ ვკვდებიო?“ მე გიპასუხეთ: თქვენ უკვდავი ხართ, ბატონო აკაკი, არასოდეს მოკვდებით-მეთქი. დროდადრო გონს რომ კარგავდით ყურში ჩაგძახოდით: ცოტა გასძელით , ბატონო აკაკი და ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. პროფესორი, ჰომეოპათი თორნიკე ალაშვილი რომ შემოიყვანეს და დაინახა როგორ გეფერებოდით,მიყვირა: „მაგას, გოგო, მოფერება კი არა წამალი უნდაო“, თქვენ თავი წამოსწიეთ და ყველას გასაგონად თქვით: „ნინოს არავინ აწყენინოსო“. ღმერთმა ხომ იცის, საავადმყოფოში როგორ ვთხოვდი, მე მოვეკალი თქვენი სიცოცხლის სანაცვლოდ.მე ვინ და თქვენ ვინ, ბატონო აკაკი,თქვენ უდავოდ სჭირდებოდით ქვეყანას!

სამწუხაროდ, არ მოხერხდა თქვენი გადარჩენა.1999 წლის 6 დეკემბერს დადგა ის საბედისწერო ჟამი, როცა თქვენ მე-20 საუკუნემ დაგიტოვათ.ნუგეშად თქვენივე სიტყვები დაგვრჩა: „მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც სწამს სულის უკვდავება და მჯერა,რომ ჩვენი შეხვედრა ისევ მოხდება“.მეც მწამს, რომ ჩვენ აუცილებლად შევხვდებით და ეს შეხვედრა ისეთივე სპეტაკი და ამაღლებული იქნება, როგორი ურთიერთობაც ჩვენ გვქონდა.ეს ურთიერთობა ხომ თქვენი დედმამისეული ოჯახიდან,ოზურგეთიდან დაიწყო.

2

თქვენ დიდებული დედა გყავდათ, ჩემთვის ბებია მარიამი.ხშირად მიხდებოდა მასთან დარჩენა. ხანდახან ხუმრობანარევი ღიმილით გკითხავდა: „ხომ კარგი აკაკიე მყავსო?“ თუმცა, პასუხი მშვენივრად იცოდა. აკაკი წერეთელი მიყვარდა და აკაკი იმიტომ დავარქვიო-გვიყვებოდა.მერე გაეღიმებოდა და „ხომ გამიმართლაო“ - იტყოდა. ჭეშმარიტად გაუმართლა! თქვენს სპეტაკ სულს ვთხოვ,მეც გამიმართლოს! მეც ხომ თქვენი უსაზომო სიყვარულის გამო ჩემს ერთადერთ ბიჭს თქვენი თიკუნი ტატო დავარქვი.



მარო ბებია რომ გარდაიცვალა ტარიელ ჭანტურიამ დეპეშა გამოაგზავნა: „დედას, რომელმაც აკაკი ბაქრაძე გაუზარდა ქვეყანას, სიკვდილი არ უწერიაო.“

მართლაც უკვდავნი ბრძანდებით თქვენ და თქვენი მშობლები! მე ვიცი, რომ თქვენი უკეთილშობილესი დედის აჩრდილი მთელი ცხოვრება თან გდევდათ: „მამაკაცის წარმოდგენა ქალზე დედის საშუალებით ყალიბდება.დედა იდეალური ქალია-ალერსიანი, უანგარო, თავგამეტებული, სითბოთი და ზრუნვით სავსე, უშიშარი,ყოვლის შემძლე და მფარველი, სანთლად რომ შემოგევლება თავს, ყველაფერს გაიღებს და არაფერს მოგთხოვს. მერე ცხოვრება ამ იდეალს თანდათან ანგრევს. დედის მიერ უნებლიეთ შექმნილი იდეალი აღარსად გვხვდება.სული კი დაეძებს მას და ამაო ძებნაში იხარჯება ცხოვრება...“ (სტატიიდან: „ტრაგიკული ოპტიმიზმი“,1977წ)

„სული დაეძებს მასო“-წერთ...თქვენ ხომ იცით, თქვენი ბავშვობისდროინდელი ლექსი ზეპირად რომ ვიცი:

გათხოვდა! მითხრეს ფერმა წითელმა,
ჩემს უნებურად ფრთა გამკრა თვისი,
ბავშვობას ჩემსას გული ეტკინა,
რომ მიმატოვე და გახდი სხვისი...
გათხოვდი! ნუთუ ბავშვობის ხანა,
არც ერთი წამით არ გაგახსენდა,
არ მოიგონე ბავშვური ტრფობა,
პაწია გულის პატარა სევდა.

3

გათხოვდი! ალბათ სულ მოკლე ხანში
პატარა ქალი გახდება დედა,
აკვანთან ნანავ და ცრემლებს მომგვრის,
უმანკო ტრფობის ბავშვური სევდა.

1946 წ. (იბეჭდება პირველად)

თქვენ მოგწონდათ ჩემი წაკითხული ლექსები.ხშირად თავად მირჩევდით, ეს ლექსი ისწავლე და შენებურად წაიკითხეო.ჩემს სპექტაკლს „ტკბილი ოცნება და მწარე სინამდვილე“,რომელიც რუსთაველის საზოგადოების კულტურულ ცენტრ „გულანშაროში“ ჩატარდა და რომლის კომპოზიცია თქვენს ტექსტზე „აკაკი წერეთელზე“ იყო აგებული, შორიდან უცქერდით და თქვენს მეგობარ ქალს ყვავილებიც კი გამოატანეთ. ამ სპექტაკლზე რამდენიმე რეცენზია დაიწერა,ორ მათგანს გავიხსენებ: „სადად, მაგრამ გემოვნებით მორთულ სცენაზე იდგა მოხდენილი გოგონა ნინო კუკულაძე და დიდი გატაცებით გვიამბობდა უკვდავი აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.სულგანაბული დარბაზი ერთი საათის განმავლობაში გულმოდგინედ, შეუნელებელი ინტერესით უსმენდა მას. ერთი საათით მოვწყდით დუხჭირ სინამდვილეს, დავივიწყეთ დღევანდელი რთული ყოფა, ჩვენი საკუთარი საწუხარი და ნინოსთან ერთად მივყვებოდით და განვიცდიდით დიდი აკაკის მძიმე ცხოვრების გზას..“ (დალი სალუქვაძე,გაზ: „ალიონი“, 1995 წ)

„სცენა გაფორმებული იყო დიდი აკაკის სურათებით და უამრავი ყვავილებით.საღამოს ლეიტმოტივად აკაკისეულ ლექსებზე შექმნილი სიმღერები გასდევდა... აკაკი ბაქრაძისეული მსჯელობა წერეთლის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე, დიდებული მუსიკა, მყუდრო დარბაზი მაყურებელს კეთილად განაწყობდა და სიმშვიდეს გვრიდა. რამდენიმე წუთით შუქი ჩაქრა, მაგრამ არც მსახიობი დაბნეულა და არც დარბაზი შეწუხებულა...პროვინციაში ჯერ კიდევ მოიძებნება ინტელიგენცია და სანამ ეს ინტელიგენტური სული ცოცხალია, საქართველოს ვერავინ დაამარცხებს.ბარაქალა თქვენ ქალბატონებო და ბატონებო!“ (თამარ რუხაძე,გაზ: „ახალი თაობა“,1996 წ)

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე თქვენი ნდობით აღჭურვილი პირი გახლდით გურიის რეგიონში.თბილისში შეკრებაზე ერთმა ცნობილმა კაცმა გკითხათ: „ამ პატარა გოგოს ენდობიო?“ „სავსებითო“- დამაჯერებლად უპასუხეთ

4

ოზურგეთის პოლიციის მაშინდელმა უფროსმა კაბინეტში დამიბარა და „დამაშინა“, მაგრამ მედგარი წინააღმდეგობა რომ მიიღო, თანაშემწეს უთხრა, მანქანით სახლში მიიყვანეო.შინ რომ დავბრუნდი და გიამბეთ, გულიანად გაიცინეთ, „ხომ გაგსკვანჩესო’- მეხუმრეთ.

არჩევნების დღეს ჩოხატაურის ოლქში ვიყავი. მახსოვს, გამარჯვებული კანდიდატის მომხრეები, ქალებიც კი, მაგრად გამოთვრნენ და მაგიდაზე იცეკვეს.მე მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი.თავჩაღუნული კუთხეში ვიდექი. კარგად ვუწყოდი, მწარე შეცდომა რომ დავუშვით.ვგრძნობდი,ქვეყანა უფსკრულში რომ იძირებოდა.რისი გაკეთება შემეძლო? თვითონ ბრძანეთ არჩევნების წინ:“მე ხალხს არჩევანის საშუალებას ვაძლევ სიკეთესა და ბოროტებას, სინათლესა და სიბნელეს შორის და მათი გადასაწყვეტია რას აირჩევსო“. ჩოხატაურიდან ჩემი წამოსვლის დრო რომ დადგა, საოლქო კომისიის თავმჯდომარემ (სახელი და გვარი არ მახსოვს) ჭიშკრამდე მომაცილა,ბოდიში მომიხადა და მითხრა:“ საოცარია, როგორი წმინდა კაცია აკაკი ბაქრაძე და რა სპეტაკი ადამიანები უდგას გვერდითო“.საუბედუროდ, ჩვენი გამარჯვება მაშინ ოდენ იმ პატიოსანი კაცის შეფასება იყო.

იმ არჩევნების მერე ქვეყნის ჩარხი უკულმა რომ დატრიალდა, დღეს ყველა ჭკუათმყოფელისათვის ნათელია.მაშინ რომ დაეჯერებინათ თქვენთვის ყველაფერი გაცილებით უკეთ წარიმართებოდა და არც იმ ავადსახსენებელ ცხრა წელს მივიღებდით საკაშვილისეული მმართველობა რომ ჰქვია.თქვენ ბევრი რამ იწინასწარმეტყველეთ, მაგრამ არავინ გაიგონა.ამიტომაც წარვუმძღვარე თქვენი გარდაცვალების შემდეგ ჩემი რედაქტორობით გამოსულ წიგნს „წერილები“ შემდეგი წინასიტყვაობა: აკაკი ბაქრაძე ტრაგიკული პიროვნება იყო. მას პრიამოსის ქალიშვილის ბედი ჰქონდა. პრიამოსის ქალიშვილი კასანდრა აპოლონმა დასწყევლა-შეეძლოს წინასწარმეტყველება, მაგრამ არავინ დაუჯეროსო.კასანდრამ იწინასწარმეტყველა ტროას დაქცევა, მაგრამ არ დაუჯერეს. ასევე იყო აკაკი ბაქრაძეც. არც მას დაუჯერეს! (ეს პერიფრაზია არჩილ ჯორჯაძის შესახებ თქმული თქვენეული სიტყვებისა)

არ დაჯერებას ვინღა ჩიოდა, ხშირად თქვენს გულისტკენასაც არ ერიდებოდნენ. განჯგონებულნი ქვეყნის ღალატს გაბრალებდნენ...ასეა „ან ტყვია უნდა გესროლონ ან ლაფი“. თუმცა, ლაფისმსროლელს ტყვიისმსროლელს ამჯობინებდი, უფრო „მამაცი“ მაინც არისო-ამბობდით.სევდანარევი ირონიით იმასაც იტყოდით: ჩვენ ის ერი ვართ, ილია რომ გავგმირეთო, სულხან-საბა ორბელიანი სვეტიცხოვლის ეზოში წვერებით ვათრიეთო.ჩვენ ის ერი ვართ, ვინც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელი და გვარი იმიტომ არ ვიცით,რომ იგი იმ ეპოქის საქართველოში სხვების თავებზე დადიოდაო.

5

მაგრამ თქვენ არ გჩვეოდათ გულგატეხილობა, თქვენ არ გიხდებოდათ პესიმიზმი.ამიტომაც თქვენი ყოველი გამოსვლა, სტატია,წიგნი თუ ლექცია,როგორც წესი,ოპტიმისტურად სრულდებოდა და ამიტომაც იყო, რომ თქვენს ლექციებზე დასწრების მსურველთ აუდიტორია ვერ იტევდა...

მახსოვს,ერთხელ ოზურგეთიდან თბილისში თქვენი ავტომანქანით რომ მივდიოდით, შემოგჩივლეთ: ბატონო აკაკი,უამრავი ლექსი ვიცი ზეპირად,პოემებიც კი,მაგრამ გალაკტიონის „მესაფლავე“ ვერა და ვერ ვისწავლე-მეთქი.რა დამავიწყებს თქვენეულ განმარტებას:“ ნინიჩქა, შენ სიცოცხლით სავსე გოგო ხარ, „მესაფლავე“ კი უკიდურესად პესიმისტური ლექსია და იგი ქვეცნობიერად შენს ბუნებას ეწინააღმდეგებაო“ და მერე „მესაფლავე“ იგივე სიუჟეტის მქონე ვაჟას ლექსს შეადარეთ.

ბატონო აკაკი, მინდა გითხრათ,რომ ჩემი ბუნება უსამართლობასაც ეწინააღმდება. ცილისწამებასაც ვერ ეგუება.მაგრამ მე ის ადამიანი ვარ, ვინც თქვენთან მიმართებაში ყველაფერს აიტანს,თქვენი გამოისობით „უშიშარი ვარ, ვითარცა უხორცო“, ვერც ტყვია გამგმინავს და ვერც „მომიზნებული მოყვრის ისარი“.

ვიდრე ვიცოცხლებ მუდამ ვიამაყებ თქვენი ახლობლობით.ამიტომაც დავესესხე ქალბატონ მარგალიტა კუნჭულიას ამ წერილის სათაური: „არსთა გამრიგის მადლობელი ვარ,რომ გენიოსს შემახვედრა“.

უფალსა და თქვენს სულს კი ყველა უკეთურთათვის ილიასეული ლოცვით შევღაღადებ:

„რომ მტერთათვისაც,რომელ თუნდა გულს ლახვარი მკრან,

ვთხოვდე,შეუნდე,არ იციან, ღმერთო რას იქმან“.

დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო აკაკი!

ნინო კუკულაძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ 2014 წლის 31 მარტის აუქციონში შედის ცვლილება ტექნიკური შეცდომის გამო და ყაზბეგის ქუჩის ნაცვლად გამოცხადდეს ქობულაძის ქუჩა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს

№	დასახელება	მისამართი	მიწის ნაკვეთის ფართი მ²	ბინ. შენობის ფართი მ²	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	"ბე" (ლარი) 30%	"ბიჯი" (ლარი) 5%	მონაწილის ბილეთის ფასი	მიწის სარეგისტრაციო ნომერი
4.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ოზურგეთი ქობულაძის ქ.	480 კვ.მ.	--------	2980	894	149	20	26.26.52.012

კონკურსი მედიის წარმომადგენლებისათვის

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი შვეიცარიის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის - „ჩემი თემი ირჩევს ქალს“ - ფარგლებში აცხადებს კონკურსს გურიის რეგიონში მოქმედი მედია საშუალებებისათვის გამარჯვებული მედია კამპანიების გამოსავლენად.

მედია კამპანია უნდა განხორციელდეს **2014 წლის 20 აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით** გურიის რეგიონში, კამპანია უნდა მოიცავდეს სიუჟეტების ან საგაზეთო სტატიების ერთობლიობას.

მედია კამპანია უნდა ემსახურებოდეს გურიის რეგიონის თემებში ქალთა მონაწილეობისა და სამოქალაქო აქტიურობის გაზრდის მიზნით, წარმართულ საინფორმაციო/საგანმანათლებლო მიზნებს; კამპანიამ უნდა შეასრულოს გარკვეული როლი ქალთა, როგორც საარჩევნო სუბიექტების, მონაწილეობის წახალისებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.

კონკურსიდან გამოეთიშებიან ის მედია საშუალებები, რომელთა კამპანიები რაიმე კუთხით იქნება დაკავშირებული რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის პროპაგანდასთან და მათ საარჩევნო კამპანიასთან ან კიდევ პირდაპირ ან ირიბად გამოხატავს რაიმე სახის მიკერძოებას რომელიმე პოლიტიკური სუბიექტისადმი/პარტიისადმი.

კონკურსის შედეგად გამოვლინდება პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული მედია კამპანიები, რომელთა მფლობელები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით.

დაინტერესებულმა მედია საშუალებებმა **2014 წლის 20 აპრილამდე** უნდა წარმოადგინონ კონკურსში მონაწილეობის ინტერესის გამომხატველი წერილი გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში (შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით შეტყობინება ქვემოთ მითითებულ მისამართზე), ხოლო მედია კამპანიის დასასრულს, საგაზეთო სტატიები ან სატელევიზიო სიუჟეტები უნდა წარმოადგინონ **2014 წლის 22 მაისის 16:00 საათამდე.**

მისამართი: ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №4, მეორე სართული
საკონტაქტო პირი: თამარ ღლონტი
ტელ: 599 156384 ელ.ფოსტა: tamghlonti@gmail.com

ზურაბ ვაშაყმაძის გახსენება

ადამიანი მის მიერ განვლილი ცხოვრების გზით, მის მიერ ნაკეთები საქმეებით ფასდება. ვთვლი, რომ საზოგადოებამ მეტი უნდა იცოდეს, ამ სიცოცხლით სავსე, საწუთროდან ნაადრევად წასული კაცის შესახებ. მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ.

ზურაბ ვაშაყმაძეც ამ ისტორიული სოფლის ძირძველი გვარის წარმომადგენელი იყო. სწავლობდა, შრომობდა, უყვარდა. ლიხაურელია (ნიაბაურელი) ზურაბის მეუღლე ნანა გობრონიძე, განათლებული, თავისი საქმის პროფესიონალი ქალბატონი. კარგი შვილები რეზიკო და ფიქრია.

9 აპრილის ტრაგედიამ ბევრი ადამიანის ცხოვრება შეცვალა. რუსის ალესილ ბარ-ნიჩბებით დახოცილ ახალგაზრდებს შორის ზურაბის მამიდაშვილი, ლიხაურელი ნინო თოიძეც იყო. 9 აპრილის ტრაგედიამ გაამლიერა ეროვნული მუხტი და ერთ მუშტად შეკრა ქართველობა. იქნებოდა ეროვნული დაწესებულებები და ადამიანები უანგაროდ მზად იყვნენ ქველმოქმედებისთვის, ეკლესია-მონასტრების დახმარებითვის და ა.შ. ზურაბმა სამსახური დატოვა და თანამოაზრეებთან ერთად შეიქმნა ნინო თოიძის სახელობის საზოგადოება, რომლის საქმიანობის ძირითად მიზანს სწორედ ზემოთთქმული შეადგენდა.

სოფ. ლიხაურის ცენტრშიც იყო 9 აპრილს დაღუპულთა სურათები, შუბლზე შავი არშით ახალგაზრდები და უამრავი სტუმარი, რომელიც ნინო თოიძის საფლავის მოსანახულებლად მიდიოდა. ზურაბ ვაშაყმაძე, დავით გორგოშიძე და სხვა ახალგაზრდები აქ ხელმოწერებს აგროვებდნენ 9 აპრილს მოწამლულთა დასახმარებლად თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოსასვლელად.

იმ პერიოდში ლიხაურში, ნინო თოიძის საფლავი მოინახულეს სრულიად საქართველოს პატრიარქმა ილია II, ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა მერაბ კოსტავამ, ზვიად გამსახურდიამ...

იმ პერიოდში ძალიან პოპულარული გახდა გიზო ჭელიძის ლექსი „დღეს შენს სახელზე სანთლებს ანთებენ!“

„ცრემლით გიტირო ისე მომონდა,
რომ არფრის არა მაქვს რიდი,
შენ პირველი ხარ ჩვენი სოფლიდან,
ასე პატარა და ასე დიდი “

ნინო თოიძის საზოგადოების თავმჯდომარედ ზურაბ ვაშაყმაძე აირჩიეს. მარტო ქველმოქმედებისთვის თანხების მოძიება და ცალკეული დახმარებები არ იყო საკმარისი და ზურაბმა დაიწყო საზოგადოების საქმიანობის გაფართოება. პროფესორი გიზო ჭელიძე თავისი დიდი ოჯახით, მათე გორდელაძე (შემდგომში მამა მათე), ადვოკატი სოსო გობრონიძე, მეცნიერი ემენი დონაძე, პოეტი და პედაგოგი მალვინა თოიძე, გამომცემლობა „სამშობლოს“ მხატვარი, ლიხაურელი მურმან ჭანიშვილი და არაერთი სხვა ცნობილი ლიხაურელი დადგა მაშინ ნინო თოიძის საზოგადოების გვერდით. პირველ მიზნად ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესიის ამოქმედება დაისახეს და ნახევარ ბიულეტენის გამოცემა გადაწყვიტეს.

1990 წლის 23 მარტს ზურაბ ვაშაყმაძე და ამ სტრიქონების ავტორი ქ. თბილისში, სიონის ტაძართან ახლოს თავის რეზიდენციაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მიგვიღო. პატრიარქი დაინტერესდა საზოგადოების საქმიანობით, თავისი მოგზაურობის შესახებაც მოგვითხრო საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე თურქეთში, იქაურ ქართველების თბილ შეხვედრებზე და გვითხრა, ვეცდები თქვენი თხოვნა შევასრულოო.

სულ მალე, 9 აპრილის წინ მამა დავითს (ამჟამად მამა დიმიტრი შიოლაშვილი), ლიხაურში მამა გურამი (ბერიჭაშვილი) ამოჰყვა. პატრიარქმა იგი დანიშნა ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესიაში. მამა გურამის თანადგომით გაძლიერდა საზოგადოების მუშაობა. მალე პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ბიულეტენ „ლეხოურის“ პირველი ნომერი გამოვიდა. ბიულეტენი საკმაოდ კარგი ტირაჟით (5000 ცალი) იბეჭდებოდა. შემოსული თანხა ქველმოქმედებას ხმარდებოდა.

ნინო თოიძის საზოგადოების თანადგომით დაიბეჭდა მამა გურამის მიერ შედგენილი „მოკლე კატეხიზმო კათაკმეველთათვის.“ როცა კონკრეტულ ადამიანის დახმარებაზე მიდგებოდა საქმე, ცდილობდა იგი უჩუმრად გაეკეთებინა. რადგან საზოგადოების თანხა იყო, მხოლოდ ორმა-სამმა ადამიანმა ვიცოდით.

ზვიად გამსახურდიას უნდა შეეხვედროდით. მოვაგვარეთ ორგანიზაციული საკითხები. უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ არჩევნებს უნდა მიძღვნოდა ინტერვიუ. ისე მოხდა, რომ სატრანსპორტო საცობში მოვყევი და დანიშნულ დროს მისვლა დამგვიანდა.

როცა კარებთან მივედი აღელვებული ზურაბი დამხვდა.

—უხერხულია, მოვიდა ზვიადი, ერთხანს გელოდა და შემდეგ თქვა: —არა უშავს, „კოლხურ კოშკში“ მოდით და არ გაგიშვებთ ინტერვიუს გარეშეო.

ინტერვიუ ჩავწერეთ და „ლეხოურში“ გამოვაქვეყნეთ.

მახსოვს, სოფ. ქაქუთში (ჭანიეთი) ზურაბი, ამ სტრიქონების ავტორი და იოსებ გობრონიძე საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ, 93 წლის ალფესი ქავთარაძეს ვესტუმრეთ. ჭანიეთელი ჩოხოსნები ეკვენი ქავთარაძე, ლადო სურგულაძე და მერაბ კვირკველიაც იყვნენ. სამფეროვანი საქართველოს დროშა რომ დაინახა, მოხუცს თვალებზე ცრემლები მოეძალა. ის შეხვედრა დაუვიწყარი იყო. მოხუცი გვიყვებოდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთ-ერთი მებრძოლის, ჭანიეთელი ალფესი ხომერიკის შესახებ. ობოლადის სადამსჯელო ოპერაციაზე ჭანიეთში და გოგია ღლონტის ვაჟაცობაზე. როგორ იმალებოდა 1936-37 წლებში ტყეში და როგორ გადურჩა რეპრესიებს..

მაშინ გადაწყდა, მოგვეძიებინა მასალები სოფ. ლიხაურის დასაწყისში 1923 წელს კომუნისტ ჯალათების მიერ დახვრეტილთა შესახებ... არ ვიცი რა უნდა უწოდო 1991 წლის მომდევნო წლებს. ერთხანს შეძლო ნინო თოიძის საზოგადოების მუშაობა, „ლეხოურსაც“ ვუშვებდით, მაგრამ 1993 წლიდან ვეღარ შევძელით. 1991-92 წლის დეკემბერ-იანვრის სამოქალაქო ომმა ფაქტურად საზოგადოების მიერ დასახულ ყველა პროექტს წერტილი დაუსვა. თუმცა არის ერთი პროექტი. 9 აპრილის შემდეგ გადაწყდა, სოფ. ლიხაურში ობელისკი დადგათ. ნინო თოიძის საზოგადოებამ კონკურსი გამოცხადა. კონკურსში ვახტანგ მამეიშვილის პროექტმა გაიმარჯვა. მაშინ არ მოხერხდა ამ პროექტის განხორციელება, მაგრამ ამჟამად ამ სოფლის დეპუტატის თამაზ სალუქვაძის მონდომებით საქმე დაიძრა...

ზურაბი შემდეგშიც აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა, მისი ენერგიის კაცს არ შეეძლო მოვლენებისთვის შორიდან ეცქირა. მაგრამ ჯანმრთელობამ უმტყუნა. ვერ დაძლია სენი და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა —იქ, სადაც ნინო თოიძის და მისი თანამებრძოლების სულებია. როცა მომავალში ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმის გვერდით 9 აპრილს დაღუპულთა ძეგლს მოვინახულებთ, გავიხსენებთ კაცს, რომლისთვის ეროვნული ღირებულებები ყველაზე ძვირფასი იყო.

ნუგზარ ასათიანი

გახსენება

ჯუმბერ დუნდუას

გაზაფხულმა ფრთა გაშალა შენს სათაყვანებელ გურიაში... სითბო და სიყვარული მოიტანა თან...დედის სითბო... და ქალის სიყვარული... მაგრამ, რა დასანანია, რომ შენ ვერ იზეიმე ჩვენთან ერთად დედისა და ქალის დღესასწაული... ვინ იცის როგორ გენატრებოდა დედა... ქალის იდეალი შენთვის შენი განუმეორებელი მეუღლე იყო... გეამაყებოდა შენი ლამაზი შვილები... გაღმერთებდნენ... თავს გევლებოდნენ... ძალიან გვატკინე გული...თუმცა ეს შენგან დამოუკიდებლად მოხდა...ასე გადაწყვიტა არსთა გამრიგემ...და ქალაქს და სრულიად საქართველოს დააკლდა ერთი გარეგნულად და შინაგანად ლამაზი, ჯელტმენი კაცი...ჯუმბერ დუნდუა...

ჩვენი ურთიერთობა, ბატონო ჯუმბერ, სამ ათეულ წელზე მეტს ითვლის და ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა, იგი ურთიერთპატივისცემასა და ნდობას გასცილებოდეს. მე ვამაყობდი თქვენთან მეგობრობით...ძეამაყებოდა ისეთ პიროვნებასთან ურთიერთობა, რომელსაც არა მარტო გურია და გურულები, არამედ მთელი საქართველო იცნობდა, როგორც დიდ ხელოვანს, ქართული ცეკვის დიდოსტატს, ბრწყინვალე ქორეოგრაფს, რომელმაც არა ერთი თაობა აღუზარდა ერს, არა მარტო ცეკვა ასწავლა, არამედ კაცურად ცხოვრება ასწავლა, ერისა და ტრადიციების სიყვარული ასწავლა და დღეს მისი მადლიერი აღზრდილები პატივს მიაგებენ მის ნათელ ხსოვნას.

როცა შენთვის ძვირფასი ადამიანი მიდის წუთისოფლიდან, სულში გრჩება დიდი ტკივილი... იმ გარდასულ დღეთა გამო, რომელიც ერთად გაგვიტარებია...თქვენ შეგეძლოთ სიკეთე გეკეთებინათ უანგაროდ, დახმარების ხელი გაგეწოდებინათ ყველასთვის, ვისაც ეს სჭირდებოდა, ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც, როცა ჩემს მეუღლეს ეს დასჭირდა, თქვენ შეუძლებელი შესძელით და თქვენი დამსახურებაა, რომ ის დღეს ჩემს გვერდითაა. დიდი მადლობა თქვენ ამისათვის...

თქვენი წარმატების საწინდარი თქვენი მუხლჩაუხრელი შრომა იყო... შეუძლებელს შესჭიდებიხართ და გამარჯვება გიზეიმიათ... იყო უამრავი სიხარული და სამწუხაროდ, გულისტკივილიც... ესეც რჩეულთა ხვედრია... „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“... გტკიოდათ დაუმსახურებელი საყვედური, მაგრამ სულით არასოდეს დაცემულხართ, დაბრკოლებათა წინაშე ქედი არასოდეს მოგიხრიათ, რადგან ბუნებით ოპტიმისტს, მუდამ გჯეროდათ ხვალინდელი დღის... ბევრი კარგი ჩანაფიქრი გქონდა...მაგრამ ამაოდ... არ დაგცალდა...თქვენს ჩანაფიქრს მჯერა თქვენი მეუღლე და შვილები აღასრულებენ ისე, როგორც შენ მოგეწონებოდა...

გაზაფხულის იმ ლამაზ და სევდიან დღეს იყო ბევრი ყვავილი... ცრემლი... ტაში... გამოსათხოვარი სიტყვა მადლობა...მაგრამ არ იყავით თქვენ, მთელი ამ წარმოდგენის მთავარი გმირი... გავა წლები...და ჯუმბერ დუნდუას სახელს კიდევ ბევრჯერ წარმოთქვამენ და მოიგონებენ შენს ოზურგეთში, შენს საყვარელ სოფელ შრომაში და სრულიად საქართველოში... ესაა კიდევ უკვდავება...

„დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“— თქვენ ძეგლი არ გჭირდებათ, რადგან თქვენი ხელთუქმნელი ძეგლი უკვე დგას თითოეული თქვენი აღზრდილის, თითოეული ოზურგეთელის, თითოეული შრომისთემელის და თითოეული ჭეშმარიტი ქართველის გულში... უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი..

დიდი მადლობა. ბატონო ჯუმბერ, იმისთვის, რომ თქვენ არსებობდით ამ ქვეყანაზე და ჩემს ცხოვრებაში.

უდიდესი პატივისცემით,
მაყვალა დარჩია.



მეუღლე ლეილა სურგულაძე, შვილები მაია, დავითი; შვილიშვილები ელენე, შოთა, ირაკლი, სანდრო შავიშვილები, სერგი ბოლქვაძე; დები ოლია, ჟუჟუნა, დარეჯანი; რძალი ირმა ქევხიშვილი, სიძე გოჩა ცომაია; დისშვილები, ძმისშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან **შოთა ტარიელის ძე შავიშვილის** გარდაცვალებას.

პანაშვიდი 7.04. 17 სთ; დაკრძალვა 8.04. (გამოსვენება 15სთ. ქ. ოზურგეთი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №17-დან; დაკრძალვა სოფ. ჭანიეთში).

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ნაზი მშვიდობაძეს, მანანა, ნანა გობრონიძეებს მეუღლისა და მამის **შოთა გობრონიძის** გარდაცვალების გამო.

სააქციო საზოგადოება „იმედის“ კოლექტივი იუწყება აქციონერ **შოთა (შუტუ) გობრონიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ლამარა თავდიშვილი მწუხარებას გამოთქვამს ყოფილი მოსწავლის **ზაზა სალუქვაძის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru
კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე